საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 8 მაისის

დადგენილება №2397

სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო
პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის
ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

I. შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 – მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.1. სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და/ან სწავლების საფასურის გადახდა) რეგისტრაცია.

აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობად ჩაითვლება ჩარიცხვის შემდეგ დეკანატში გამოუცხადებლობა, სათანადო დოკუმენტაციის (დაბადების მოწმობის/პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული საბუთი/საბუთები, სტუ-ის რექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სხვა საბუთები) წარმოუდგენლობა და/ან სასწავლო ხელშეკრულების გაუფორმებლობა, აგრეთვე:

- საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
  - მომდევნო სემესტრის დაწყებამდე დეკანატში გამოუცხადებლობა და სასწავლო ხელშეკრულების გაუფორმებლობა (საჭიროების შემთხვევაში);
  - სამ და მეტ სასწავლო კურსში თითოზე მეტ შუალედურ გამოცდაზე (ტესტირებაზე) გამოუცხადებლობა/ნულოვანი

შეფასების მიღება ან დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ჩაუბარებლობა;

- ➢ დამატებითი სასწავლო ხელშეკრულების გაუფორმებლობა.

- მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
  - ➢ სამი და მეტი მოდულის სწავლის შედეგების დაუდასტურებლობა;
  - ➢ დამატებითი სასწავლო ხელშეკრულების გაუფორმებლობა;

4.2. ხელშეკრულებების მომზადება ხდება დეკანატში. საფინანსო ხელშეკრულება ფორმდება სტუდენტსა და რექტორს შორის; სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება სტუდენტსა და დეკანს შორის და შეიცავს :

- საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში გასავლელი სასწავლო კურსების ნუსხას;
- მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მიერ გასავლელი მოდულების ნუსხას.

4.5. საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის წლიური სასწავლო დატვირთვა, დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს, მათ შორის ერთ სემესტრში – 45 კრედიტს.

4.6. საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო კურსის ხელახლა გავლა შეიძლება შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ სემესტრში; სწავლების დეპარტამენტთან შეთანხმებით გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს სტუდენტისათვის, რომელსაც მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო სემესტრში მიეცა სასწავლო კურსის ხელახლა გავლის შესაძლებლობა და თუ ეს ხელს არ შეუშლის სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას.

მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე მოდულის ხელახლა გავლა შეიძლება დეკანატისა და შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის მიერ შერჩეულ პერიოდში, სწავლების დეპარტამენტთან შეთანმებით.

4.7. სასწავლო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს:

- სტუდენტის გვარი, სახელი;

- პირადი ნომერი;
- სწავლების სემესტრი (საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საფეხური;
- სასწავლო კურსების/მოდულების დასახელება და შესაბამისი კრედიტების რაოდენობა.

4.8. საგნობრივ პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო ხელშეკრულებაში ჯერ მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, შემდეგ – დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსები. მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო ხელშეკრულებაში მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული; დამატებით სასწავლო ხელშეკრულებაში მიეთითება დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსები/მოდულები.

4.9. თუ სტუდენტს დამატებით (ხელახლა) აქვს გასავლელი სასწავლო კურსები/მოდულები, მან სასწავლო ხელშეკრულების, აგრეთვე დამატებითი სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების წინ დეკანატში უნდა მიიღოს კონსულტაცია; კონსულტაციის მიზანია დამატებით (ხელახლა) გასავლელ სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის პროგრამის შესაბამისად წინმსწრები კურსების/მოდულების, აგრეთვე მათ გასავლელად ოპტიმალური პერიოდების შერჩევა.

4.10. საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის დაწყებამდე, როგორც წესი, არანაკლებ ერთი კვირით ადრე გააფორმოს დამატებითი სასწავლო და შესაბამისი საფინანსო ხელშეკრულებები. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტს უფლება აქვს, როგორც წესი, აკადემიური დავალიანების წარმოქმნიდან არაუგვიანეს 2 კვირით ადრე გააფორმოს დამატებითი სასწავლო და შესაბამისი საფინანსო ხელშეკრულებები.

4.11. სტუდენტმა სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა გაიაროს ხელშეკრულებაში (მათ შორის დამატებითში) მითითებული ყველა სასწავლო კურსი/მოდული.

4.12. სასწავლო ხელშეკრულების შეცვლა დაუშვებელია:

- საგნობრივ პროფესიულ პროგრამაზე – სემესტრის განმავლობაში;
- მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე – სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ.

4.13. თუ სტუდენტი არ/ვერ გაივლის აკადემიურ და/ან ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, ამ მიზნით დადგენილი ვადის გასვლიდან 2 კვირის შემდეგ შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. მისი გვარი და სახელი არ აისახება უწყისში/ამოღებული იქნება უწყისიდან.

უწყისიდან ამოღებამდე სტუდენტის გვარისა და სახელის შემცველ უჯრებს მიეცემა გამაფრთხილებელი ფერი.

II. შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და დაემატოს მე-4 მუხლის 2^1 და 2^2 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

4.2^1. დამატებითი სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება ასევე სტუდენტსა და დეკანს შორის და შეიცავს სტუდენტის მიერ დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების/მოდულების ნუსხას (დანართი 1).

4.2^2. სასწავლო ხელშეკრულება, აგრეთვე დამატებითი სასწავლო ხელშეკრულება, წარმოადგენს საფინანსო ხელშეკრულების საფუძველს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე